

j2564
q

ბაქოს წიგნების გამომცემი ამხანაგობა



1906. 3. 8 — ლიტ.

703660000

35

БІБЛІОТЕКА

ЗАБОРНЯК. Рок 1906. № 6.

1906 „БІБЛІОТЕКА“ (թ. գ. յունածան), Բայրութի լեռ. № 6.

1906

ამბ. „კალამისაგან“

არა არ არ არ არ არ არ არ არ არ

არ არ არ არ არ არ არ არ არ არ არ
არ არ არ არ არ არ არ არ არ არ არ არ
გალვიძებულ სურვილს წიგნის კითხვისას და, დრო
გამოშვებით, მიაწოდოს იაფ-ფასიანი სახალხო წიგ-
ნაკები თანამედროვე კითხვების შინაარსით. ამხა-
ნაგობა შრომის არ დაზოგავს და რამდენად მიახ-
წევს თვის - მიერ დასახულ მიზანს, — ეს, „ამხანა-
გობისაგან“ არა ნაკლებ, დამოკიდებული იქმნება
მკითხველ საზოგადოების თანაგრძობისაგან.

КУТАНСКАЯ № 4

б. գրքագործություն

ВИВАԶԻ

от № 111 459


ԹԱՅԻ



□ ՄԱՅԻՆԵՐՈՒՅԼՈՒՑ

ԱԿԱԾ ՔԵԼԱԲԻՆԴՈԱՑՈ.

Մարզ. գ. Տես—լուս.



ԺՎԱԼՈՒՅՈ.

Նույնական հաջողություն (Ձ. ը. յուղամուս) նոյտություն վայ № 6.

1906

მიწის კანონმდებლობა ახალ ზელანდიაში.

ჩვენზედ კარგათ მოშორებულ მხარეში, ეგრეთ წოდებულ ახალ ზელანდიაში, სკონვინობდა ამ ასიოდე წლის წინად თითქმის განსაკუთრებით ველური ხალხი — კაცის მკამელები. ეხლა კი, ჩვენ დროში, ახალი ზელანდია ერთი უმდიდრეს ქაუყანათაგანია მთელ დედამიწის ზურგზედ, განათლებულ მცხოვრებლებით და ჩინებულ სახელმწიფო — საზოგადოებრივ წეს-წყობილებით. როგორ მოხდა ესეთი სასწაული?

თვით ახალი ზელანდია შესდგება რამდენიმე კუნძულისაგან, რომელთაგან ზოგ-ზოგი კარგათ მოზრდილია. ახალ ზელანდიის მთელი სივრცე უდრის ჩვენებურ რუსეთის როგორდ გუბერნიას.

ეს მხარე პირველად ევროპიელებმა აღმოაჩინეს ამ 250 წლის წინეთ. მაგრამ სულ 80 წელიწადი იქნება, რაც იქ ევროპიელებმა დაიწყეს დენა და დასახლება; ამათში უმთავრესად კი ინგლისელები იყვნენ და სახელდობრ, ეგრეთ წოდებული, მისიონერები, ე. ი., ის მღვდლები, რომლებიც ახალ ზელანდიაში მიდიოდნენ ქრისტიანობის საქადაგებლად იქ მცხოვრებ ველურ ხალხთა შორის. შემდეგ

იქითკენვე გასწიეს ვაკრებმაც თავიანთი სავაკრო
გემებით და ვაკრობისვე მიზნით ჩაუსახლდნენ ახ.-
ზელანდიელებს. ევროპიელთა რიცხვს ახალ ზელან-
დიაში თან-და-თან ემატებოდა. ზოგმა ახლად გად-
მოსახლებულებმა დაიწყო მიწების შესყიდვაც. ესე-
ნი მთელი ათასი დესტინობით ყიდულობდნენ მკვი-
დრთაგან, როგორც იტყვიან, გროშის ფასად : ოვით
მკვიდრნი ცოტანი იყვნენ ჩაოდენობით, მიწა კი
საკმარისი იყო. ამას გარდა ველურ მკვიდრთ ნაკლე-
ბათ გაეგებოდათ ფულის და მოტანილ საქონლის
ფასი, რომლებშიდაც მიწებს სცვლიდნენ. ამასთანავე
ევროპიელები უღმერთოდ ატყუილებდნენ მკვიდრთ
და შესყიდულ მიწებს თავის ნებაზედ იზომავდნენ,
უმიწისმზომელოთ. ამგვარად, სულ რამდენიმე წელ-
წადში ევროპიელებს უკვე „შესყიდული“ ჰქონდა
მთელ ახალ ზელანდის ერთ მესამედზედ მეტი. ამ
მიწების შესყიდვას, რა თქმა უნდა, ერთი მიზანი
ჰქონდა ... ადვილად გამდიდრებისა : რომ პირველად
პიწები გროშის ფასში შეესყიდათ და შემდეგ, როცა ევ-
როპიელთა გადასახლება ზელანდიაში გაცხოველ-
დებოდა, სისხლის ფასებში გაესაღებინათ.

ამგვარ ჩარჩულ მიზნით 1837 წელში ინგ-
ლისში დაარსდა ინგლისელ კაპიტალისტთა მთელი
ამხანაგობა, რომელმაც ძირითად თანხათ ერთი მი-
ლიონი მანეთი დასდო. წინეთ თუ მიწებს პატარა
ნაკერ-ნაკერებათ ყიდულობდნენ, ახლა მოისურ-
ვეს ერთბაშათ დიდი ადგილების შეძენა. სამიოდე

თვის განმავლობაში ამ ამხანაგობამ შეიძინა შეიდ
მილიონ დესეტინაზე მეტი მიწა; რა თქმა უნდა
რომ ეს ამხანაგობაც მიწებს ყიდულობდა იაფად,
შეუბრალებლად ატყუებდა მკვიდრთ. საშუალო
რიცხვით თითო დესეტინა მიწა ამ ამხანაგობას
დაუჯდა თითო მანეთად. ადგილების შეძენის
შემდეგ ამხანაგობამ ძებნა დაუწყო ევროპა-
ში, იმ პირთ, რომლებიც მოისურვებდნენ ზელან-
დიაში გადასახლებას და იმათგან მიწების ნაკერ-
ნაკრათ შესყიდვას. ამ გვარ მსურველთა პირველი
ჯგუფი ინგლისელებისა მოადგა ახალ ზელანდიას
ინგვარში 1840 წელს. ინგლისის მთავრობამაც
ისარგებლა ახალ ზელანდიაში ინგლისელების და-
სახლებით და იმავე წელიწადს გამოაცხადა ეს მოე-
ლი მხარე თვისს სამფლობელოსთან შემოერთე-
ბულათ.

პირველად ინგლისის მთავრობამაც ვერ გაბედა
ახალ-ზელანდიის შემოერთება ადგილობრივ მკუ-
დრთა ნებადაურთველად და ამ მიზნით მოლაპარა-
კება გამართა ახალ-ზელანდიის ხალხის წინაში ცო-
ლებთან. დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ დაიდო
პირობა, რომლითაც ინგლისის კოროლევა ახალ-
ზელანდიის კოროლევათაც აღიარებულ იქმნა. მე-
დიდებული მთელი ადგილ-მამული ადგილობრივ
მკუდრთა საკუთრებად ჩაითვალა და ინგლისი.
მთავრობას მხოლოდ უპირატესობა ეძლეოდა. სსკე-
თან შედარებით, მიწის სყიდვაში და ბილოს ინგ-

ლისის მთავრობა ახალ-ზელანდიელებს აძლევდა
ინგლისის მოქალაქის ყველა უფლებას, ე. ი. თავი-
სუფლებას პიროვნებისა, სინიდისისა, სიტყვისა,
ბეჭვდისა, კრებისა და კავშირისა. ეს პირობები
თავის-თავად სასარგებლო იყო ზელანდიელებისთვის
კიდევ იმიტომ, რომ ამას წინეთ უცხოელებისაგან
შეძენილი მიწები აღიარებულ იქმნა არა კანონიე-
რად. ამის შემდეგაც მიწა-აღგილის სყიდვა შეიძლე
ბოდა მხოლოდ მთავრობის ნება დართვით. ამ გვა-
რად, ინგლისის მთავრობის სასახლოთ, იქ ბოლო
მოელო მოტყუებით მიწების შესყიდვას.

ევროპიელთა ახალშენების დასამკიდრებლად კი
ინგლისის მთავრობამ თვითვე დაიწყო მკვიდრთაგან
მიწების შესყიდვა. ეგრეთვე წინეთ ინგლისის კაპი-
ტალისტთა ამხანაგობის-მიერ ნაყიდი მიწები აღია-
რებულ იქმნა არა კანონიერად და ამ ამხანაგობის
ხელში, შეიდ მილიონ დესეტინა მიწიდგან, დატოვ-
ბულ იქმნა მხოლოდ 90 ათასი დესეტინა. გადაშინ-
ჯულ იქმნა სხვა ევროპიელთა წინეთ მომხდარ ნას-
ყიდობის პირობები და ყოველგან აღდგენილ იქმნა
ადგილობრივ მკვიდრთა უფლებანი.

რა თქმა უნდა, რომ ამ ხნიდგან უფრო აჩქარე-
ბით დაიწყეს დასახლება ევროპიელებმა ახალ ზე-
ლანდიაში. განვითარდა მიწის დამუშავება და გან-
საკუთრებით პირუტყვის მოშენება (სახელდობრ
ცვრისა), რაც მეტად სასარგებლო გამოდგა. ცხვრის
მოშენება, ერთი მხრივ, არ საჭიროებდა მიწის და-

მუშავებას, არ ითხოვდა ბევრ მუშა ხელს (მაშინ
მუშაც მცირე იყო) და მეორე მხრივ მატყლის კაი
ფასზე და ადგილად გასაღება შეიძლებოდა ინგლი-
სში, საღაც, როგორც ვიცით, ძალიან განვითარე-
ბულა ფეიქრობა.

მიწის დამუშავების განვითარებით და განსაკუთ-
რებით პირუტყვის მოწენებით ახალ ზელანდიელე-
ბშა დაიწყეს გამდიდრება. ამასთანავე მოაწყეს ფა-
რთო, რამდენიმე ათას დესეტინიანი ცხვრის საძლვა-
რი ადგილები.

მაგრამ ახალი ზელანდია, ინგლისთან შეერთე-
ბის უამიდგან განიგებოდა გამოგზავნილ ჩინოვნიკე-
ბისგან, რომელთაც გუბერნატორი მოთავობდა და
მცხოვრებნი, თუმცა ყოველგვარ თავისუფლებებით
სარგებლობდნენ, მაგრამ მოკლებულ იყვნენ პოლი-
ტიკურ უფლებებს, ე. ი. ქვეყნის მართვა გამ-
გებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ. გად-
მოსახლებულ ინგლისელებმა, ახალ-ზელანდიის
შეერთების შემდეგ, მეცადინობა დაიწყეს თვით-
მართველობის მოსაპოვბლად, ე. ი. ისეთ პოლიტი-
კურ უფლებებისა, როგორითაც ისინი სარგებლობ-
დნენ წინეთ სამშობლო ინგლისში. მაგრამ, რაღ-
განაც ინგლისის მთავრობა, როგორც გამოცდილი
გავლილ საუკუნეების მწარე მაგალითებით, მხოლოდ
მაშინ უთმობს ხალხს, როდესაც იგი რასმე დაბე-
ჯითებით ითხოვს, ამიტომ ახალ ზელანდიაშიაც,
ხალხის მედგარ მოთხოვნის საპასუხოთ, 1853 წელს

შემოღებული იქმნა ადგილობრივი თვითმართველობა, ე. ი. მართვა — გამგეობა გადავიდა ხალხის მიერ ამორჩეულ კრებულის-ხელში, გუბერნატორის უფლება კი თანდითან დაეცა.

რა თქმა უნდა, რომ თვითმართველობის შემოღების დროს პოლიტიკური უფლებანი მიენიჭათ არა მარტო ინგლისელებს, არამედ ყველა ადგილობრივ მკვიდრთაც. სწავლა-განათლების ფესვის გადგმაშ მკვიდრთა შორის ძალიან გააუკეთესა მათი ზნე-ჩვეულებანი. თქმა არ უნდა, რომ ეხლანდელ მკვიდრ ახალ ზელანდიელებს თითქმის საერთო აღარაფერი აქვთ თავიანთ მამა-პაპა კაცი ქამიებთან. ინგლისის მთავრობას სულაც არ შეშინებია და პოლიტიკური უფლება მისცა ამ ველურ ხალხსაც კი და ეს საშუალება არამც თუ სახიფათო არ გამოდგა, პირიქით უფრო მაღლა დააყეჩა ეს მხარე სხვა ქვეყნებზედ.

ეხლა ახალ-ზელანდის მართავს და განაგებს ხალხის მიერ ამორჩეულ წარმომადგენელების პალატა, ამორჩეული საყველთაო, პირ-და-პირი თანასწორ და დახურულ კენჭის ყრით, განურჩევლად სქესისა და სარწმუნოებისა.

ამგვარად, ॥ 85:3 | წლიდგან ახალ-ზელანდიის მართვა-გამგეობა თვით ხალხისვე ხელშია. ამასთანავე ჯარის ყოლაც აქ საკიროებას არ შეადგენს, რადგანაც ეს მხარე კუნძულებზედ მდებარეობს, მეზობლად არავინ ჰყავს რომ ომი აუტეხოს; იქა-

ური მთავრობა კიდევ, რა-თქმა უნდა, .. „ინაურ მტრად“ ვერ ჩასთვლის თავისივე ამომრჩეველ ხალხს: იქ ჩინოვნიკები საკიროებას არ შეადგენენ, რადგანაც ყოველგვარი თანამედრობა ხალხისვე-მიერ ამორჩეულ პირთ აბარიათ. რაც შეეხება პოლიციას, ეს უკანასკნელი ერთიან ექვემდებარება საქალაქო და სასოფლო-საერობო თვითძართველობათ. პოლიციელთ ნიშნავენ და ითხოვენ ესევე დაწესებულებანი, მაშასადამე პოლიციელნი ხალხის წინაღმდეგ ვერავითარ გზით ვერ წავლენ და ამის გარდა პოლიციელნი იქ გაცილებით ჩაკლებ საკიროა, ვიდრე ჩეენში.

აი ამ პირობებში მოხდა ის სასწაული, რომ რაღაც რამდენიმე ათეულ წელიწადში აღორძინდა სამაგალითო სახელმწიფო და აღორძინდა ჩინოვნიკობის წყალებით კი არა, არამედ თვით თავისუფალ და უფლების მქონე ხალხის ხელით; შეიქმნა ის, რის შექმნასაც ვერსაღ შესძლებდა ჩინოვნიკები და მთავრობა ასეულ წლების განმავლობაშიაც კი. იმ ხნიდვან კი, რაც ადგილობრივი მართვა გამგეობა გადავიდა ხალხის ხელში „მიწის საკითხს“ უფრო მეტი ყურადღება მიექცა.

უპირველესად ხალხის მთავრობის ყურადღება მიიქცია დიდრონ მამულების არსებობამ. რადგანაც შემდეგში შესაძლებელი იყო, რომ ამ მხრის აღგილ-მამულების უმეტესი ნაწილი ხელში ჩაეგდო რამდენსამე მდიდარს კაცს, ამიტომაც ხალხის მთავ-

რობამ გადასწყვიტა ფრთა უეკვეცა ასეთი მისწრაფებისათვის. ამ მიზნით შემოლებულ იქმნა იმ გვარი განსაკუთრებული დიდი გადასახადები დიდ მამულებზედ, რომ დიდ-მამულების ქონა ამის შემდეგ პირდაპირ საზარალო შეიქმნა.

1900 წელს ახალ ზელანდიაში ითვლებოდა 103.000 მიწის მესაკუთრე, ამათგან 13,000 მსხვილი მემამულე, რომლებიც იხდიდნენ განსაკუთრებულ მიწის ღალას და 90,000 იუ წვრილი და საშუალო მესაკუთრენი, რომლებიც ამ გვარ გადასახადს არ იხდიდნენ. ამ კანონის წყალობით ზოგი მსხვილი მემამულე იძულებული გახდა თავისი მიწები გაეყიდა. მაგ. ერთ მემამულეს 29,000 დესეტინა მიწა ჰქონდა, რომელსაც ცხვრის საბალახოთ ჰქონდა გაშვებული. ჰყავდა სულ 20 მლუა (მწყემსი) და მხოლოდ ცხვრის გაკრევის დროს, ცოტაოდენი ხნით, ჰქირაობზა მე 10 მუშას, დანარჩენ დროს კი ამოდენა მიწით ხალხის მაგიერ იკვებებოდა ცხვარი და მათი პატრონი. როცა კი განსაკუთრებული მიწის ღალა დაწესდა და ამ მემამულეს დიდი ღალის გადახდა მოუხდა, ცხვრის ყოლაც საზარალო შეექმნა, გადასწყვიტა მიწის გაყიდვა. ეს მიწა მთავრობაშ შეისყიდა და, დაჰყო რა პატარ-პატარა ნაკრებათ, ხელ მოკლე მცხოვრებთ დაურიგა. ეხლა იქ 300 მეოჯახეა დასახლებული, რომელნიც ხენათესვას მისდევენ და მიწის შემოსავალმაც ერთი თხხათ იმატა.

ამ გვარ შესვილ მამულების შესასყიდათ და შემ-დეგში პატარ-პატარა ნაკრებად დასარიგებლად, მთა-ვრობა წლითიწლობით მეტ ფულს ხარჯავდა და ჩვენ დროში ამ მიზნით იხარჯება უკვე ხუთ მილიონ მანეთამდე.

რადგან იყვნენ ისრეთი შესვილი მემამულენიც, რომ ცლთაც მაინც თვის მამულის გაყიდვა ეძნე-ლებოდათ, ამიტომ მთავრობამ (ანუ, უკვე რომ ვსოქვათ, თვით ხალხმავე, თვის მიერ ამო-რჩეულ წარმომადგენელებით) შემოილო სავალდებულო მიწის გამოსყიდვა, ე. ი. თუ შესვილ მემამუ-ლეს ნებაყოფლობით მიწის გაყიდვა არ უნდოდა, მაშინ თვით მთავრობა აიძულებდა. და ამ გვარ მიწას აფასებდა განსაკუთრებულად ამორჩეული მსაჯულთა კრებული. მიწების სავალდებულო გამო-სყიდვის კანონები შემოღებულ იქმნა 1894 და 1896 წლებში; ამ კანონების შემოღების 4-ა წლის შემ-დეგ მთავრობამ შეისყიდა 77 მამული (125 -- ათასი დესეტინა, ანუ ჩვენებურათ -- 250 ათასი დღიური), რაზედაც დექხარჯა 16 მილიონ მანეთზედ მეტი. რა თქმა უნდა რომ, თუ მთავრობა ხალხისაა, ის არც დაიშურებს ხალხისთვის ფულს. *

თუმცა ეს ზომებიც საკმარისი არ გამოდგნენ და ამიტომ მთავრობამ უმალ გადასწყვიტა შეეჭლუ-და დიდი მამულების შეძენა კერძო პირთაოვის. ეს ზომა მით უფრო აღვილი იყო, რომ უკვე არსებულ კანონების ძალით, საზოგადოთ არავითარი მიწის

ყიდვა არ შეიძლებოდა მთავრობის ნებადაურთველად. ამ მიზნით შემოღებულ აქმნა კანონი, რომლის ძალითაც არავის შეეძლო შეესყიდა პირველ ხარისხის მიწა 240 დესეტინაზედ მეტი და მეორისა, მდაბიო ლირსებისა, 750 დესეტინაზედ მეტი; ამასთანავე ვისაც უკვე ჰქონდა მიწა ამ განსაზღვრულ ზომისა, ან ზედ მეტიც, — ის უფლებას მოკლებული იყო კიდევ ეყიდა. ამ კანონების ძალით ბოლო მოედო ტილი მიწა ადგილს მფლობელობას.

ამასთანავე უნდა შევწიშნოთ, რომ ახალ ზელანდიაში ჯერ-ჯერობის მიწის გამწვავებული მოთხოვნილება არ არსებობს და იგი ყველა მსურველს ყოფნის ამიტომ, ეჭვი არ არის, რომ ზედანდის მთავრობა შედევგში, თანდაოან, შეამცირებს მიწის იმ განსაზღვრულ რაოდენობასაც, რამდენიც ეხლა ნება დართულია. ბოლოს კი, და იქმნება ახლო მომავალშიც, აუცილობლების გამო; ახალ-ზელანდის ხალხი მივა იქნობამდე, რომ მსურველს იმ ზომის მიწის შეძენის ნებას მისცემს, რამდენის დამუშავებასაც თვითვე შესძლებს, სხვა დაქირავებულ მუშა ხელის დაუხმარებლად.

იმ მიზნის მისახწევად კი, რომ გაავრცელოს წვრილი მიწათმფლობელობა, მთავრობა სცდილობს შესყიდული მიწები დაჰყოს პატარ-პატარა ნაკრებად, — უკანასკნელ დროს თითო 40 დესეტინა-მდე და ნაკლებიც.

რომ მიწის ყიდვა შესძლოს, არა მარტო შეძლებულმა, არამედ ხელ-მოკლებმაც, მთავრობა მსურველთ აძლევს მცირე საჩვენებლიან სესხსაც (4" წლიურად) პირუტყვის და იარაღის შესაძენათ და შენობის დასადგმელად. ამ გვარად უსახსროსაც კი შეძლება ეძლევა, არამც თუ მიწა შეიძინოს, არამედ ოჯახიც კი მოაწყოს ისრე, რომ ჩარჩს ხელში არ ჩაუვარდეს.

ამგვარათვე, ვისაც ყიდვა არა სურს მიწისა, შეუძლიან იჯარით აიღოს რამდენიმე წლით და ამასთანავე, თუ შემდეგში მოისურვა, შეუძლია შეისყიდოს იჯარით აღებული მიწა. მთავრობა ამისთანა მოიჯარადრებსაც აძლევს მცირე -- ფასიან სესხს სახლკარის მოსაწყობათ.

როგორც ხედავთ, ახალ-ზელანდიის მთავრობა, როგორც ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი, გულდასმით სცდილობს, რომ მიწა მშრომელ ხალხის ხელშივე იყოს. აქედან კიდევ ის გამომდინარეობს, რომ ხალხზედ გული შესტკივა მხოლოდ თვით ხალხისვე წარმომადგენელებს და არა კაროლებს, ხელმწიფებს და იმათ ჩინოვნიკებს. აი ამიტომაც სახელმწიფო დუმაში, პალატაში, წარმომადგენელები უნდა არჩეულ იქმნენ უეჭველად მთელი ხალხის მიერ, ყველა მოზრდილ მცხოვრებელთაგან.

ყველა ამასთან ახალ ზელანდიაში თან და თან ვრცელდება ის შეხედულება, რომ მიწა არ შეიძლება ეკუთვნოდეს კერძო პირთ, თუნდაც კი წვრილ

მესაკუთრეთაც კი (გლეხობას) არამედ, უნდა შეად-
გენდეს სახელმწიფო საკუთრებას, საკუთრებას მოე-
ლი ხალხისას

იმიტომ კი, რომ ესეთი შეხედულობა ცხოვრე-
ბაშიც განხორციელდეს, და კერძო საკუთრება მი-
წაზედ ნამდვილად მოისპოს, ამ უკანასკნელ დროს,
ახალ-ზელანდიის მთავრობამ მიწების გაცემა დაიწყო
ამა თუ იმ მოკლე ვადით კი არა, არამედ, როგორც
ამბობენ, სამუდამო იჯარით, ანუ ၆၅၅ წლ. ვაკით.

80,000 დღესტინა მიწიდებან. რომელიც იქაურ
მთავრობას 1899 წელში იჯარით გაუცია, ნახევარ-
ზედ მეტი სამუდამო იჯარითაა დათმობილი. ამ გვარ
პირობებში მიწის მესაკუარეთ რჩება სახელმწიფო,
და მიწის მფლობელათ მოიჯარადარე; ამ გვარ
სამუდამო იჯარით გაცემული მიწა, არას დროს და
არავითარ პირობებში აღარ გამოისყიდება, კერძო
საკუთრებათ აღარ გადიქცევა.

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ახალ-ზელანდია-
ში არსებობს კანონი მიწების სავალდებულო შეს-
ყიდვის გამო, მათინ, მთავრობამ თუ მოიწადინა,
თან და თან შეუძლია შეისყიდოს მიწები კერძო
მემამულეთაგან და გადააქციოს საზოგადოების სა-
კუთრებად.

ნათქვამიდგან შეიძლება გავითვალისწინოთ, თუ
შემდეგში რა მსვლელობას მიიღებს განვითარება
მიწის კანონმდებლობისა და ბოლოს როგორ ახალ
წეს-წყობილებამდე მივა.

მთელი მიწა საკუთრებას უნდა შაადგენდეს
მთელი სახელმწიფოსას, მთელი ხალხისას. ყვე-
ლას შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ იმოდენა მი-
წით, რამოდენის დამუშავებასაც შესძლებს სხვა და-
ქირავებულ მუშა ხელის დაუხმარებლად.

ხალხისვე მიერ ამორჩეულნი პირნი ანაწილებენ
მიწებს სოფლების შორის მცხოვრებთა რაოდენობის
მიხედვით. ამასთანავე მიწაზედ არავინაა მიჯა-
ჭვული და ყველას სურვილზედაა დამზკიდებული,
როგორც შესვლა, ისრე გამოსვლა სოზოგადოები-
დგან. არავითარი ურთიერთ პასუხის მგებლობა,
არავითარი გადასახადები, მიწის მცირე იჯარის გარ-
და, არ არსებობს. ამ პირობებში, ყველა, ვინც კი
მუშაობას მოისურვებს, ყოველთვის იშოენის საკირო
მიწას და საზოგადოება და მთავრობა ყოველთვის
მისცემენ სახსარს სახლ-კარის მოსაწყობათ, მით
უმეტესად, რამ არამც თუ მიწა, არამედ სასოფლო-
სამეურნეო იარაღი და პირუტყვიც კერძო საკუ-
თრებას არ შეადგენს, არამედ საზოგადო, --- ანუ
სხვანაირად რომ ესთქვათ, საზოგადო მიწა მუშავდება
საზოგადოებისვე იარაღით და საქონლით. ამ გვარ
საზოგადოებრივ წესწყობილებაში ადგილი არა აქვს
არც მემამულეს, არც ჩარჩს და მყვლეფას; არ
არიან ღარიბები და შიმშილიც არ არსებობს.

აი რა გვარი ახალ წეს-წყობილებისაკენ დაიწყო
განვითარება ადგილ-მამულების ართონა და მიმდევად
ახალ ზელანდიის ბელნიერ ჟამუშულობის მიერთონ.

ამხანაგობა „კალამის“ გამოცემანი:

1. სლაპარი წყლის უქსანებ, ბელლამისა, თარგმანი დადგეძისა. 4 კ.
 2. ოლქობრივი თვითმართველობა, კაბანოვისა, თარგ. ჩ. ხირსელისა. 3 კ.
 3. მიწის კანონმდებლობა ახალ ზელანდიაში კაბანოვისა, თარგ. გ. ახა—ლისა. 4 კ.
 4. ბოვევის მოვლა, პედაგოგიური წერილები დედებთან, ალ. ნათაძისა 25 კ.
-

ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა შეძენა შეიძლება: **ტფილისში** — ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების, გადილის და მერკეილაძის წიგნის მაღაზიებში, **ქუთაისში** — ის. კეიცარიძის ეურ.-გაზ. კანტ. „კოლხიდაში“, **ბათომში** — ამხ. „გეორგიას“ კანტ. და ტრ. ინასარიძესთან, **ბაქოში** — ქართ.-რუსულ სამკითხველოში და მასწ. ჩ. ნაცვლიშვილთან და **ქ. დერბენტში** — მასწ. ალ. ნაცვლიშვილთან.

უკეთუ ვინმე ავტორს დასაბეჭდათ დამზადებული აქვს ორიგინალური ან[†] ნათარგმნი პატარა თხზულებანი თანამედროვე სოც.-ეკონ. ჰინაარსისა და გამოცემაზედ ამხანაგობასთან მოისურვებს მოლაპარაკებას, უკველვეზე ცნობის მისაღებათ უნდა მიმართოს ტფილისში: **Управл. Госуд. Имущест. гимаргი სალარიძეს.**



